სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

96860345080023

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N231571918

რეგისტრაციის თარიღი

13.11.2023 წ

ნოტარიუსი: ელენე მერგელ
მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 22/4
ტელეფონი: 995322745001

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდასამი წლის ცამეტ ნოემბერს, მე, ელენე მერგელს ნოტარიუსს ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი 22/4, მომმართა ბატონმა **ოქტაი ოზთურქმა** (საქართველოს (ორმაგი) მოქალაქე, პირადი ნომერი: 01003019040, დაბ. 25.09.1959წ. მცხ. ქ. თბილისი, ბოგ უოლშის ქ. N 32 კორ. 9 ბ. 65), რომელიც წარმოადგენს **შპს „კალანდა 777“**-ს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ და არსებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, საიდენტიფიკაციო კოდით 404423218, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი (შემდგომში - **„კომპანია“**), როგორც ამ კომპანიის დირექტორი, რომელიც უფლებამოსილია ერთპიროვნულად წარმოადგინოს კომპანია თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან და კომპანიის სადამფუძნებლო შეთანხმებისა. ბ-ნმა **ოქტაი ოზთურქმა** განაცხადა, რომ სურს კომპანიის სახელით გასცეს მინდობილობა. ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობასა და წარმომადგენლობით უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მარწმუნებელმა თანხმობა განაცხადა ნოტარიუსის მიერ თარგმანის განხორციელებაზე. მე, ნოტარიუსმა, რომელიც ჯეროვნად ვფლობ ინგლისურ ენას, შევადგინე წინამდებარე აქტის პროექტი ქართულ და მის შესაბამის ინგლისურ ენაზე, წავუკითხე მარწმუნებელს, განვუმარტე მას მინდობილობის შინაარსი და ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები. ბ-ნმა **ოქტაი ოზთურქმა** ჩემს წინაშე მკაფიოდ და ნათლად დაადასტურა, რომ მინდობილობის შინაარსი ზუსტად შეესაბამება მის ნებას და ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე აქტს, რასაც ვამოწმებ:

მინდობილობა

ორი ათას ოცდასამი წლის ცამეტ ნოემბერს, **შპს “კალანდა 777”** (საიდენტიფიკაციო კოდით 404423218), რომელიც შემდგომ ტექსტში მოხსენებულია როგორც **“მარწმუნებელი”** ან **“კომპანია”**, წარმოდგენილი დირექტორის **ოქტაი ოზთურქის** სახით, ნიშნავს:

ბ-ნ **ერეკლე კერესელიძეს** (საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი: 38001047773) (შემდგომში "**რწმუნებული**") და ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

1. რწმუნებული უფლებამოსილია წარმოადგინოს მარწმუნებლის ინტერესები ადმინისტრაციულ ორგანოებში, მათ შორის მუნიციპალურ ორგანოებში, ქ. თბილისის მერიასა და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში (მათ შორის: არქიტექტურის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში), საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იუსტიციის სახლში, მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ ადმინისტრაციულ წარმოებაში, რომლის მონაწილე მხარეს (დაინტერესებულ პირს) წარმოადგენს მარწმუნებელი და რომელიც დაკავშირებულია არქიტექტურულ პროექტების მიღება/დამტკიცებასთან, შეთანხმება/კორექტირებასთან, მშენებლობის, რეკონსტრუქციის, დემონტაჟის და სხვა ნებისმიერი სახის ნებართვების მიღებასთან, რეგისტრირებულ

მონაცემებში ცვლილებების/დამატებების რეგისტრაციასთან, რომელიც შეეხება უძრავ ქონებას, მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა (ს/კ 01.72.14.009.668). ამ მიზნით, რწმუნებული უფლებამოსილია წარადგინოს შესაბამისი განცხადებები, დეკლარაციები, ცნობები, თანხმობები, შეტყობინებები, სხვა აუცილებელი დოკუმენტები როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონულად (მათ შორის და არა მხოლოდ ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე www.tas.ge), მიიღოს ადმინისტრაციული ორგანოებიდან თუ კერძო ორგანიზაცია-დაწესებულებებიდან ნებისმიერი ფორმისა თუ შინაარსის ცნობა, ბრძანება, ნებართვა, ამონაწერი და სხვა ნებისმიერი დოკუმენტი, დაარეგისტრიროს პროექტი/დოკუმენტი მარეგისტრირებელ ორგანოში, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები, საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები პროექტებში, მოახდინოს აუცილებელი მოსაკრებლების და გადასახდელების გადახდა, აგრეთვე შეასრულოს ყველა სხვა მოქმედება რაც აუცილებელია დავალების შესასრულებლად.

2. წინამდებარე მინდობილობა ძალაშია ერთი წლის ვადით, შემდგომი გადანდობის უფლების გარეშე.

მინდობილობა შედგა 3 (სამი) ორიგინალ, თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ელენე მერგელის არქივში, რომელსაც თან ერთვის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან „კომპანიის“ შესახებ და „კომპანიის“ სადამფუძნებლო შეთანხმება, ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს.

„კომპანიის“ წესდებას წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სტანდარტული წესდება.

საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებულისათვის: 50 ლარი (მათ შორის 30 ლარი მინდობილობის დამოწმებისათვის და 20 ლარი აქტის ტექსტის თარგმნისათვის), თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის და 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ - 9.00 ლარი, თანახმად საგადასახდო კოდექსის 166-ე მუხლისა, და სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5,00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 39-ე მუხლისა.

მარწმუნებელი OKTAY OZTURK

ნოტარიუსი

საქართველოს ნოტარიუსი ელენე მერგელი GEORGIA NOTARY ELENE MERGELL 01007006393

NOTARY DEED

GEORGIA

On the 13th day of November two thousand and twenty-three, I Elene Mergell, notary in Tbilisi, whose notary bureau is located at the address: 22/4, Ketevan Tsamebuli Ave. Tbilisi, was applied by Mr. OKTAI OZTURKI (a Georgian citizen (dual citizenship), with personal identification number: 01003019040, DOB. 25.09.1959, residing at #32 Bob Walsh str. Build. 9, apt. 65, Tbilisi) acting as the director of KALANDA 777 LLC, limited liability company incorporated and existed under the laws of Georgia, with I/N #404423218, having it's registered address at 12th Km. of D. Agmashenebeli Alley, Tbilisi, Georgia (hereinafter the – "Company") who is authorized to individually represent the Company, according to the extract from the Registry of Entrepreneurs' and Non-Entrepreneurial Legal Entities and Company's Constituent Document. Mr. Oktai Ozturki declared that he wished to issue the power of attorney on behalf of the Company. I hereby attest that I had no ground to doubt his competence and representative rights. The Principal expressed its consent to completion of the translation by the notary. I, notary, know English language properly, drafted this notary deed in Georgian and in corresponding English languages, read it to the principal, explained the content of the power of attorney and the legal consequences of its signing. Mr. Oktai Ozturki has distinctly and clearly approved, that the content of the power of attorney exactly corresponds to his will and personally signed this deed in my presence, in witness hereof I set my hand:

Power of Attorney

On the 13th day of November two thousand and twenty-three, KALANDA 777 LLC (with ID number: 404423218), hereinafter referred to as the "Principal" or the "Company", represented by its director Oktai Ozturki, hereby grants authorities and authorizes:

Mr. Erekle Kereselidze (a citizen of Georgia, personal number: 38001047773), hereinafter the "Trustee") with the following authorities:

1. The Trustee is authorized to represent the Principal's affairs before administrative agencies including municipal authorities, Tbilisi City Hall and its subordinated entities (including Architecture Service, Urban Development city service, City transport department, Municipal Supervision Department, Environment protection department), National Agency of Public Registry, Public service hall, take part in any administrative proceedings where the Principal is involved as a participant party (person in charge) with the right to obtain Acceptance/approval, Agreement/correction of an architectural designs, building/reconstruction/demolition and any other permits, making amendments/additions in registered data which is related to the real estate located at the address: Dighomi training trial farm, Tbilisi (cadastral code: 01.72.14.009.668). Therefore, the Trustee is entitled to submit corresponding applications, declarations certificates, consents, notices, any other documents both materially and electronically (including but not limited to on the website of the Tbilisi City Hall Architecture Service www.tas.ge), obtain from administrative agencies or private organizations/entities certificates, orders, extracts and any other documents of any kind and

content, register design/document in the registration authority, make corresponding decisions, if necessary make changes in designs, make all necessary payments and conduct any other actions compulsory for completion of this assignment.

2. This Power of Attorney was issued for the term of one year, without the right of delegation.

The power of attorney is drafted in 3 (three) copies with equal legal power, in Georgian and English languages, from which one is filed in the archive of notary Elene Mergell, which shall be appended by the extract from the register of entrepreneurial and non-entrepreneurial legal entities about the Company and the Company's Constituent Document.

The Charter of the Company is the standard charter of the limited liability company approved by the order of the Minister of Justice of Georgia.

The fee in the amount of GEL 50 for the conduct of notary act (Gel 30 for certification of the power of attorney and Gel 20 for translation of the text of the deed) in accordance with section 5 of clause 3 and clause 31 the Decree No. 507 of the Government of Georgia as of 29 December 2011, as well as VAT in the amount of GEL – 9.00 pursuant to the art. 166 of the tax code of Georgia and the fee for the registration of notary deed Gel 5,00, in accordance with clause 39 the Decree No. 507 of the Government of Georgia as of 29 December 2011.

PRINCIPAL

NOTARY

